

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. შემოსავლები.....	8
5. კაზინოს ლიცენზიის ხარჯები.....	8
6. სხვა ხარჯები	8
7. ძირითადი საშუალებები	8
8. მარაგები	9
9. გადახდილი ავანსები	9
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	9
12. მიღებული სესხები	9
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
14. საგადასახადო ვალდებულება	10
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
16. პირობითი ვალდებულებები.....	10
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019*
საოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი	4	7,900,990
სხვა შემოსავალი		105,930
		8,006,920
საოპერაციო ხარჯები		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,994,775)
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,425)
იჯარის ხარჯები		(2,026,861)
კაზინოს ლიცენზიის ხარჯები	5	(1,449,641)
სხვა ხარჯი	6	(2,466,943)
		(8,947,645)
საოპერაციო ზარალი		(940,725)
საპროცენტო ხარჯი	12	(72,505)
საკურსო სხვაობის მოგება, წმინდა		(90,563)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,103,793)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული ზარალი		(1,103,793)

*მოიცავს პერიოდს 2019 წლის 15 მაისიდან (დაფუძნების დღე) 31 დეკემბრის ჩათვლით.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ რაულ კახაძე

მთავარი ბუღალტერი _____ სტეფანე ჩაფიძე

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის


(ლარში)

	შენიშვნა	2019*
საოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი	4	7,900,990
სხვა შემოსავალი		105,930
		<u>8,006,920</u>
საოპერაციო ხარჯები		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,994,775)
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,425)
იჯარის ხარჯები		(2,026,861)
კაზინოს ლიცენზიის ხარჯები	5	(1,449,641)
სხვა ხარჯი	6	(2,466,943)
		<u>(8,947,645)</u>
საოპერაციო ზარალი		<u>(940,725)</u>
საპროცენტო ხარჯი	12	(72,505)
საკურსო სხვაობის მოგება, წმინდა		(90,563)
		<u>(1,103,793)</u>
ზარალი დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული ზარალი		<u>(1,103,793)</u>

*მოიცავს პერიოდს 2019 წლის 15 მაისიდან (დაფუძნების დღე) 31 დეკემბრის ჩათვლით.


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



რაულ კახაძე

მთავარი ბუღალტერი



სტეფანე ჩაფიძე

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7	85,022
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	8	148,633
გადახდილი ავანსები	9	674,544
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	218,219
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	899,005
		1,940,401
სულ აქტივები		2,025,423
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		5,000
დაუფარავი ზარალი		(1,103,793)
		(1,098,793)
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	12	1,524,965
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,562,179
საგადასახადო ვალდებულებები	14	37,072
		3,124,216
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,025,423

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	ჯამი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	-	-	-
მფლობელელთა შენატანი კაპიტალის ზრდა	5,000	-	5,000
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,103,793)	(1,103,793)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	5,000	(1,103,793)	(1,098,793)

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		(1,103,793)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	7	9,425
საპროცენტო ხარჯი	12	72,505
(მოგება) ზარალი საკურსო სხვაობებიდან		90,563
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(931,300)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(218,219)
გადახდილი ავანსების ზრდა		(674,544)
მარაგების ზრდა		(148,633)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,562,179
საგადახადო ვალდებულება ზრდა		37,072
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილ პროცენტამდე		(373,445)
გადახდილი პროცენტები	12	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(373,445)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(94,447)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის:		(94,447)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
კაპიტალში თანხის შეტანა		5,000
სესხის აღება	12	1,409,951
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		1,414,951
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა		947,059
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		(48,054)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	899,005

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2019 წლის 15 მაისს.

საზოგადოების აქციათა 100%-ის მფლობელი არის რაულ კახაძე.

სს „ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი“-ს დირექტორია რაულ კახაძე.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამორინეს ოპერირება.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართი საქართველო, ხულოს რაიონი, ს. ტაბახმელა, მე-5 I ჩიხი N1.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში.

როგორც მე-17 შენიშვნაშია განმარტებული, მიუხედავად იმისა რომ მთავრობის შეზღუდვების გამო კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა, კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ შეზღუდვების გაუქმების შემდეგ კომპანია გამოიმუშავებს დაგეგმილ შემოსავალს.

შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთისდარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. შემოსავლები

შემოსავალი მიღებული:

	2019
ლაივ თამაშებიდან	4,656,547
სლოტ თამაშებიდან	3,244,443
	7,900,990

შემოსავალი თამაშებიდან მოცემულია კლიენტზე განხორციელებული წამახალისებელი აქციებისა და ბონუსების გამოკლებით.

5. კაზინოს ლიცენზიის ხარჯები

ლიცენზიები მოიცავს სათამაშო ლიცენზიების მოპოვებისთვის გაწეულ ყოველთვიურ ხარჯს. დაარსების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე ასეთი ხარჯები იყო 1,449,641 ლარის.

6. სხვა ხარჯები

	2019
სასატუმრო მომსახურება	(665,492)
თამბაქო	(384,905)
საკვები	(295,244)
პროგრამული უზრუნველყოფა	(130,500)
სხვა მარაგების ჩამოწერა	(108,638)
ალკოჰოლური სასმელები	(99,524)
კომუნალურები	(82,867)
არა ალკოჰოლური სასმელები	(77,783)
პერსონალის კვების ხარჯი	(75,895)
საღაროს დანაკლისი	(72,067)
ბანკის საკომისიო	(68,508)
საწმენდი საშუალებები	(56,329)
ბენზინის ჩამოწერა	(52,792)
სხვა	(296,399)
	(2,466,943)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება განმარტებულია მე-15 შენიშვნაში.

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	-	-	-	-
შესყიდვა	52,115	24,992	17,340	94,447
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	52,115	24,992	17,340	94,447
დაგროვილი ცვეთა				
2019 წლის 1 იანვრისთვის	-	-	-	-
ცვეთა	(5,058)	(2,519)	(1,848)	(9,425)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(5,058)	(2,519)	(1,848)	(9,425)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 1 იანვრისთვის	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	47,057	22,473	15,492	85,022

სს ინტურისტ იქსო კაზინო ბათუმი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. მარაგები

	2019
საკვები	51,716
ალკოჰოლური სასმელები	37,271
ჭურჭელი	20,902
თამბაქო	12,612
არა ალკოჰოლური სასმელები	8,017
სხვა	18,115
	148,633

9. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსების ძირითადი ნაწილი (637,500 ლარი) მოიცავს წინასწარ გაწეულ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კაზინოს ლიცენზიებთან.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019
ფინანსური აქტივები	
სავაჭრო მოთხოვნები	12,694
არაფინანსური აქტივები	
მოთამაშებზე გაცემული ავანსები	205,525
	218,219

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ არიან ვადაგადაცილებული და შესაბამისად არც გაუფასურებული.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019
ნაღდი ფული	768,349
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	37,504
ფული გზაში	93,152
	899,005

ფული გზაში სრულად წარმოდგენილია ტერმინალით რეალიზაციიდან შემოსულ თანხებით, რომელიც ჯერ არ არის ასახული კომპანიის ანგარიშზე.

12. მიღებული სესხები

	2019
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები	1,524,965
ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:	
	2019
ნაშთი 1 იანვრისთვის	-
ფულადი მუხლები	
სესხის მიღება	(1,409,951)
არაფულადი მუხლები	
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	(72,505)
გადაფასება	(42,509)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(1,524,965)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები	2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,045,990
სახელფასო ვალდებულებები	354,854
საპენსიო	53,031
სხვა ვალდებულებები*	108,304
	1,562,179

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

*სხვა ვალდებულებები მოიცავს მოთამაშეების დეპოზიტებს 54,058 ლარის ოდენობით.

14. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო ბიუჯეტის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად, როგორც ვალდებულება 37,702 ლარის ოდენობით.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,694
მიღებული სესხები	1,524,965
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	933,383
მარაგების შეძენა	1,217,753
ძირითადი საშუალების შეძენა	8,036
სრული შემოსავლის ანგარიშგება	
სხვა შემოსავლები	70,427
სხვა ხარჯები	(1,891,048)
საპროცენტო ხარჯი	(72,505)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 174,455 ლარს.

16. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. მენეჯმენტმა შეწყვიტა მომხმარებლების მომსახურება.

2020 წლის მაისის ბოლოდან კომპანიის ლიცენზიას გაუვიდა ვადა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვების გამო კომპანამ აღარ აიღო ახალი ნებართვა, რადგანაც კომპანია ელოდება პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმებას.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3.2095

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები,

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ლაივ და სლოტ თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს, რაც გულისხმობს სხვაობას დადებულ თანხებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის, გამოკლებული მომხმარებლებზე პერიოდის განმავლობაში გაცემული წახალისებები და ბონუსები.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.